

გადაწყვეტილების მიღების პროცესში პრაქტიკის კვლევის მეთოდის
გამოყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების
პროფესიული ორიენტაციის პროცესის განვითარების მაგალითზე

ანნა ბეჟანიშვილი

თამარ ლისიაკი

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: მაია წულაძე, მოწვეული ლექტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ანნა ბეჟანიშვილი

თამარ ლისიაკი

21.06.2018

მადლობა

მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, რომელთა ჩართულობითა და მხარდაჭერითაც შევძელით კვლევის განხორციელება, პირველ რიგში, აქტიური თანამშრომლობისა და დაინტერესებისათვის კვლევაში ჩართულ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებს, საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სპეციალისტებს, კერძოდ, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს და პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერებს.

გულითადად მადლობას ვუხდით გულისხმიერი დამოკიდებულების, კონსულტაციებისა და რეკომენდაციებისთვის ჩვენი პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნათია ანდლულაძეს და თანახელმძღვანელს, ამავე უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, მაია წულაძეს.

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საჯარო მმართველობით სფეროში გადაწყვეტილების მიღებისას პრაქტიკის კვლევის, როგორც მეთოდის, ქართულ რეალობაში დანერგვის საჭიროებისა და პერსპექტივის გაანალიზება. პრაქტიკის კვლევა დაიგეგმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა პროფესიული ორიენტაციის პროცედურის განვითარების მიზნით. პრობლემის სახელდების, საჭიროებების მოკვლევისა და გამოვლენის, გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტებისა და ოპტიმალური გზის შერჩევის პროცესში მონაწილეობას იღებდნენ პროფესიული სასწავლებლების ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერები. კვლევის შედეგების შეფასებამ გამოავლინა თანმდევი შედეგი - პრაქტიკის კვლევა შეიძლება გახდეს სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ინსტიტუციაში პოლიტიკის შემუშავებისას და შესაბამისი, კონკრეტული ცვლილებების განხორციელების წარმატებული და ეფექტური მოდელი.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: საჯარო მმართველობა, პოლიტიკის შემუშავება, პრაქტიკის კვლევა, პროფესიული ორიენტაცია.

Abstract

The goal of the study is to analyze the importance and prospects of action research in public policy making and later employ it as a method in a Georgian reality. Action research was designed with the involvement of the Ministry of Education and Science of Georgia in order to develop professional orientation procedures for people with special educational needs. The professional orientation and career guidance managers and inclusive education specialists of VET institutions were involved in the problem-naming, needs-researching and identifying, finding possible solutions, as well as in the decision-making process. The evaluation of the research results unveiled the following result: the action research can serve as a successful and effective tool for policy-making and implementing appropriate specific changes in various state institutions.

Key Words: Public Policy, Policy making, Action Research, Professional Orientation.